გურია – ცესკოს წინასწარი საბოლოო შედეგები

ოზურგეთი

„ქართული ოცნება“ 23362(64.745%)

„ერთიანობა-ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 3292(9.123%)

„ძლიერი საქართველო“ – 2532 (7.017%)

„კოალიცია ცვლილებებისათვის“ 2424 (6.718%)

„გახარია საქართველოსთვის“ 1987 (5.507%)

„პატრიოტთა ალიანსი“ 857(2.37%)

„გირჩი“ 640 (1.774%)

ლანჩხუთი

„ქართული ოცნება“ 10106 (61.0-04%)

„ერთიანობა-ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 1445(8.723%)

„ძლიერი საქართველო“ 1432 (8.644%)

„კოალიცია ცვლილებებისათვის“ 1165(7.032%)

„გახარია საქართველოსთვის“ 1053 (6.356%)

„გირჩი“420(2.535%)

„პატრიოტთა ალიანსი“ 409 (2.469%)

ჩოხატაური

„ქართული ოცნება“ 7842 (67.273%)

„ძლიერი საქართველო“ 921 (7.901%)

„კოალიცია ცვლილებებისათვის“ 831 (7.129%)

„ერთიანობა-ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 817(7.009%)

„გახარია საქართველოსთვის“ 486(4.169%)

„პატრიოტთა ალიანსი“ 263(2.256%)

„გირჩი“146(1.252%)

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 17 (10482) 4 ნოემბერი, 2024 წ. ფასი 1 ლარი.

საოლქო კომისიის სხდომაზე ოზურგეთის №03 საუბნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს გაფრთხილება მისცეს

ალიონი. ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომაზე ქ. ოზურგეთის №03 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და ამავე საუბნო კომისიის მდივანს გაფრთხილება მისცეს.

როგორც კომისიის სხდომაზე გაირკვა, №03 კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არასწორად ქონდათ ოქმში მითითებული. არ ჰქონდა ბათილი ბიულეტენები გათვალისწინებული ანუ 1253-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 1276 ამომრჩეველი. ასევე არ ჰქონდათ შესაბამის ოქმზე ხელი მოწერილი.

№60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ბერდია ლომიძის** განმარტებით (აღნიშნულ სხდომას საოლქო კომისიის წევრები, მედი-ის წარმომადგენლები და სხვა დამკვირვებლები ესწრებოდნენ) ჩანაწერთა წიგნში ვერიფიკაციის აპარატის ჩეკით რაც იყო საბოლოო შედეგი, იმას დაუმატეს გადასატანი ყუთის ხელმოწერების რაოდენობა და ნამდვილად ბალანსი დაჯდა.

საქმიანობის არაჯეროვნად შესრულებისთვის №03 საუბნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს გაფრთხილებები მიეცათ.

საოლქო-საარჩევნო კომისია საჩივრებს განიხილავს

ალიონი. ოზურგეთის № 60 საოლქო-საარჩევნო კომისიამ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა მიმდინარეობს.

დამკვირვებელი „ქართული ოცნებიდან“ **ბესიკ მელუა** უჩიოდა ბახვის №15 საარჩევნო უბნის კომისიის ერთ-ერთ წევრს, რომ, მელუას განცხადებით არჩევნების პროცესში აგიტაციას ეწეოდა ერთ-ერთი პარტიის სასარგებლოდ.

როგორც საოლქო კომისიის თავმჯდომარე **ბერდია ლომიძემ** განმარტა, ბახვის №15 საუბნო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა აღნიშნული ფაქტი არ დაადასტურეს. ამიტომ დასახელებული კომისიის წევრის მიმართ რაიმე სახის სასჯელი არ გატარდა.

ქ. ოზურგეთის №02 უბანზე გადასატან ყუთთან ერთად 41 საარჩევნო ბიულეტენი წაიღეს. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32 ამომრჩეველმა და 9 ბიულეტენის ნაცვლად, უკან დაბრუნდა 8 ბიულეტენი. (საჩივრის ავტორი გვანცა საკანელაშვილი)

დასახელებული კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა (მადონა ფირცხალაიშვილი, მაია ზაქარიაძე) შეადგინეს შესაბამისი აქტი და ბიულეტენი ბათილად ცნეს, ამიტომ საოლქო კომისიამ დისციპლინური ღონისძიება არ გაატარა.

მსგავსი საჩივარი იყო შესული საოლქო კომისიაში დვაბზუს მე-19 საარჩევნო უბნიდან. განიხილეს „ძლიერი საქართველოს“დამკვირვებელ **ნინო კილაძის** საჩივარი, რომელიც ამომრჩეველზე ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემას ეხებოდა, ბრალეულების დისციპლინაურ სასჯელს მოითხოვდა.

აღნიშნულ ფაქტს საუბნო კომისიაც ადასტურებდა, რომ მათ გააუქმეს გაცემული ზედმეტი ბიულეტენი და ამომრჩეველზე გაიცა ახალი ბიულეტენი.

ა (ა) იპ „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ დამკვირვებლის **ნანა შაფაქიძის** მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მელექედურის №26 საარჩევნო უბანზე გადასატან ყუთთან ერთად წაღებულ იქნა 30 ბიულეტენი. 20 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 18 ამომრჩეველმა. გამოყენებული ბიულეტენი 12-ის ნაცვლად დაბრუნდა 10. გადასატან ყუთზე პასუხისმგებელ კომისიის წევრს კომისიის თავმჯდომარემ დააწერინა შესაბამისი ახსნა-განმარტება.

საჩივრის ავტორი **ვიქტორ კვიტატიანი** მიუთითებდა: „აშკარაა, რომ გადასატან ყუთზე პასუხისმგებელი კომისიის წევრის მიერ საარჩევნო ყუთის უბანზე დაბრუნების შემდეგ ორი ბიულეტენი დააკლდა, რაც წარმოადგენს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების უხეშ დარღვევას.

ზემოაღნიშნულ დარღვევაზე დამკვირვებლის – ნანა შაფაქიძის მიერ, დასახელებულ უბანზე დაწერილ იქნა საჩივარი 2024 წლის 26 ოქტომბერს, რომელიც რეგისტრირებულია უბანზე სათანადო წესით.

საარჩევნო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე 41-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ზემოთაღნიშნული დარღვევა საუბნო კომისიის გადასატან ყუთზე პასუხისმგებელი კომისიის წევრის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია.

შესაბამისად, ვითხოვთ გადასატან ყუთზე პასუხისმგებელი კომისიის წევრისათვის დაკისრებული იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობა საარჩევნო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“

გვ–2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საოლქო-საარჩევნო კომისია საჩივრებს განიხილავს

ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.“

კომისიის სხდომაზე დამსწრე **გოჩა მჟავანაძემ** განაცხადა, რომ იგი ვიქტორ კვიტატიანის მინდობილ პირს წარმოადგენდა და ჩაერთვებოდა განხილვის პროცესში, რაზედაც მან შესაბამისი ახსნა-განმარტებით უარი მიიღო.

კომისიამ შესაბამისი არგუმენტების გამოყენებით საჩივრის ადრესატებს დისციპლინაური საჯელი არ დააკისრეს.

საიას საჩივარს ოზურგეთის ახალგაზრდა იურისტთა საზოგადოების თავმჯდომარე თამაზ ტრაპაიძე წარმოადგენდა, რომელიც ბახვის №15 საარჩევნო უბნის ერთ-ერთი დამკვირვებლიდან საიას-ში გადაგზავნილ საჩივარს ეხებოდა.

საჩივრით, ბახვის საუბნო საარჩევნო კომისიამ ნამდვილად ჩათვალა ერთი ბიულეტენი, რომლის შიდა წრის სივრცეში №41 იყო გაფერადებული. აღნიშნულ ბიულიყო გაფერადებული. ეს ელექტრონულმა მოწყობილობამაც დააფიქსირა. ტრაპაიძე აღნიშნული ბიულეტენის ბათილად ცნობას მოითხოვდა.

ბერდია ლომიძემ განმარტა, რომ საუბნო კომისისამ კანონის შესაბამისად 230/224 განკარგულებით საარჩევნო კომისიას სწორად ჰქონდა ბიულეტენის ნამდვილობა მიკუთვნებული.

ძლიერმა ნალექმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პრობლემები შექმნა

ძლიერმა ნალექმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პრობლემები შექმნა.

დაზიანებულია ინფრასტრუქტურის ნაწილი, დატბორილია საყანე ფართობები, დაზიანებული და დატბორილია საცხოვრებელი სახლები.

მერიაში შექმნილია საგანგებო შტაბი, ყველა სამსახური ჩართულია და მობილიზებულია მოსახლეობის დასახმარებლად.

ჩოჩხათის, სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** მოადგილე **თორნიკე ტიკაძესთან** ერთად იმყოფებოდა, მოსახლეობას შეხვდა და ადგილზე დაათვალიერა სტიქიისაგან მიყენებული ზარალი.

რამდენიმე სოფელში ჩამოწოლილია მეწყერი და დაწყებულია აღდგენითი სამუშაოები, რომელიც გრძელდება.

გურიის რეგიონში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლება აქტიურად მიმდინარეობს

გურიის რეგიონში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლება აქტიურად მიმდინარეობს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის ახლადრეაბილიტირებულ სკოლებში გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გივი მიქანაძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, სადაც განახლებული ინფრასტრუქტურა დათვალიერეს, პედაგოგებს და მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს. აღნიშნული სკოლების სრული რეაბილიტაცია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“ განახორციელა. პროექტების ჯამური ღირებულება 5 მილიონ ლარს აღემატება.

საკრებულოს სხდომაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 9,4 მილიონი ლარი დაიხარჯება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** უძღვებოდა.სხდომას დეპუტატები ოპოზიციური პარტიებიდან არ დასწრებიან.

საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემდეგი დადგენილების პროექტი: „მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ.“

აგრეთვე, საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო „ მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ნორმატიული აქტის მისაღებად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე განკარგულება დაამტკიცა. ეს პროექტებია:

ქ. ოზურგეთში შემოქმედელის ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია; (400 გრძივი მეტრი გზა, დაიხარჯება 327 268 ლარი;

ქ. ოზურგეთში შემოქმედელის ქუჩის II შესახვევის რეაბილიტაცია;(250 გრძივი მეტრი გზა, დაიხარჯება 224 539 ლარი;

სოფ. შემოქმედში (ფატარის უბანი) 26 და მე-13 ქუჩების შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;(1837 გრძივი მეტრი გზა, დაიხარჯება 1, 256 739 ლარი;)

სოფ. ძიმითში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;(2628 გრძივი მეტრი გზა, დაიხარჯება 2 204 739 ლარი;

სოფ. ნაგომარი - სოფ. ბახვის (მშვიდობაური) დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია; (6 552 გრძივი მეტრი გზა, დაიხარჯება 4 396 011 ლარი;

სოფ. ნაგომარი შუაისნარისა და გამგეობის შენობის უკან მდებარე გზების რეაბილიტაცია. (1169 გრძივი მეტრი, დაიხარჯება 1 058 280 ლარი).

სულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯება 9 467 575 ლარი.

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მასწავლებლის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, მასწავლებლის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** გურიის მაჟორიტარი დეპუტატი **ვასილ ჩიგოგიძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თალაკვაძე** და ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** დაესწრნენ. ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე წარდგენილი პედაგოგები, ასევე სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული მასწავლებლები, მოსწავლეები და სკოლები.

შალვა პაპუაშვილი - ევროპელ პოლიტიკოსებს თუ დიპლომატებს არა ერთხელ დაუშვიათ შეცდომა საქართველოს წინაშე და გავიგე, ერთხელ შეგეშალა, ორჯერ, სამჯერ, ხუთჯერ, მაგრამ შვიდჯერ?! სადღაც ხომ უნდა გაჩერდნენ, ხომ?! - ალიარონ ეუთო/ოდირის დასკვნა!

თუკი ვინმე თენგოს და ბატონი გეგელიას „ტოპ ტვინების“ იმედად არის ამ ქვეყანაში, მათი დიდი შეცდომაა - ევროპელ პოლიტიკოსებს, ჩინოსნებს თუ დიპლომატებს არა ერთხელ დაუშვიათ ეს შეცდომა საქართველოს წინაშე და გავიგე, ერთხელ შეგეშალა, ორჯერ, სამჯერ, ხუთჯერ, მაგრამ შვიდჯერ?! სადღაც ხომ უნდა გაჩერდნენ, ხომ?!, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, **შალვა პაპუაშვილმა** ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, დასავლელი პოლიტიკოსები საქართველოს და ქართველ ხალხს აბრალებენ, თითქოს არჩევნებზე წესების დარღვევა იყო და როცა დადასტურდება რომ ეს ასე არ არის, ბოდიშსაც არ მოიხდიან.

პაპუაშვილმა ყველას მოუწოდა, აღიარონ ეუთო/ოდირის დასკვნა. მისი თქმით, ვერ გაიქცევიან ვერც ამ დასკვნას და ვერც იმ 1 120 000-მდე ამომრჩეველს, რომელმაც „ქართული ოცნების“ მიერ გატარებულ პოლიტიკას და მომავალ გეგმებს მხარი დაუჭირა.

„გუშინ ბატონი თენგო [თევზაძე] და ბატონი გრიგოლიც [გეგელია] ვნახეთ, რომელიც „ტოპ ტვინებთან“ ერთად, ტოპ **IT** სპეციალისტებთან ერთად, ტოპ ანალიზს აკეთებდა. ეს ხომ სირცხვილია უბრალოდ?! ამ ხალხის იმედად არიან, მათ შორის, ის უცხოელი აქტორები, რომლებიც ახლა აკეთებენ განცხადებებს, რომლებიც მათ სხვა დროსაც გაუკეთებიათ. ასეთივე დაბრალება იყო სააკაშვილის საკითხზე. გვახსოვს უცხოელი მინისტრების, პრეზიდენტების განცხადებები ხომ?! ხომ აღმოჩნდა ტყუილი დაბრალება?! აი, როგორც დღეს, ხან სამი მინისტრი ერთად, ხან ცამეტი მინისტრი ერთად, ხან პრეზიდენტი, ხან ვინ და ხან ვინ აკეთებს განცხადებას და აბრალებს საქართველოს და ქართველ ხალხს თითქოს, რაღაცა წესების დარღვევა იყო. ზუსტად იგივე ხალხი, ზუსტად იგივე ევროპელები, ზუსტად იგივე დიპლომატები და ჩინოსნები გვაბრალებდნენ სააკაშვილის ტანჯვა-წამებას, რაც აღმოჩნდა ტყუილი და შემდეგ ბოდიშიც არ მოიხადეს. გვაბრალებდნენ სანქციების გვერდის ავლას, რაც აღმოჩნდა ტყუილი და ბოდიშიც არ მოიხადეს და ახლა გვაბრალებენ, რაც ასევე დადასტურდება, რომ ტყუილია. პრობლემა იმაშია, რომ არც ბოდიშს მოიხდიან, ეს ყველაფერი რომ დადასტურდება და ამასობაში ჩვენ ნერვებს დაგვაწყვეტენ, ერთმანეთს გადაგვკიდებენ, რა იცი კიდევ როგორ დაგვაპირისპირებენ საზოგადოებას ერთმანეთთან, რა როგორ მოხდება კაცშვილმა არ იცის, მერე ხელებს დაიბანენ და შემოგვხედავენ და წუხილს გამოთ-ქვამენ, რომ საქართველოში არეულობა არის. ამ დონემდე მიიყვანენ ამ ქვეყანას და მერე ბოდიშსაც არ მოიხდიან იმის გამო, რაც მისი ქმედებით არის. ასე რომ, თუკი ვინმე თენგოს და ბატონი გეგელიას „ტოპ ტვინების“ იმედად არის ამ ქვეყანაში თუ სხვა ქვეყანაში, ეს მათი დიდი შეცდომაა. ეს შეცდომა მათ არა ერთხელ დაუშვიათ. ზუსტად ევროპელ პოლიტიკოსებს, ჩინოსნებს თუ დიპლომატებს არა ერთხელ დაუშვიათ ეს შეცდომა საქართველოს წინაშე და გავიგე, ერთხელ შეგეშალა, ორჯერ, სამჯერ, ხუთჯერ, მაგრამ შვიდჯერ?! სადღაც ხომ უნდა გაჩერდნენ, ხომ?! ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას, აღიარონ ეუთო/ოდირის დასკვნა. ვერ გაიქცევიან ვერც ამ დასკვნას და ვერ გაექცევიან იმ მილიონ 120 ათასამდე ამომრჩეველს, რომელმაც ხმამაღლა მკაფიოდ დაუჭირა მხარი არა უბრალოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ „ქართული ოცნების“ მიერ გატარებულ პოლიტიკას და მომავალ გეგმებს. ასე რომ, ეს არის დემოკრატია და ყველა შეეგუოს და აღიაროს დემოკრატია,“ - განაცხადა პაპუაშვილმა.

წყარო: ipn.ge

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა გრძელდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილებით:

მოქალაქეებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს რეფორმაში ჩართვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შესაძლებლობას აძლევს 2025 წლის ბოლომდე, სრულიად უფასოდ აზომონ და დაირეგისტრირონ მიწის ნაკვეთი

არჩევნების დღეს!

არჩილ თალაკვაძე: ეს არჩევნები მთელმა საქართველომ, მთელმა ქვეყანამ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის

ალიონი. №6 საარჩევნო უბანში (ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა) ხმა მისცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკავაძემ, რომელმაც შემდეგ ცენტრალურ და რეგიონის ჟურნალისტებთან გააკეთა კომენტარი:

არჩილ თალაკვაძე: *„მოვუწოდებ ყველას, განსაკუთრებით ჩვენს თანამოქალაქეებს, არ აჰყვნენ პროვოკაციებს, მშვიდ გარემოში, მშვიდად მისცენ ხმა, გააკეთონ თავისი არჩევანი და ეს არჩევნები მთელმა საქართველომ, მთე-ლმა ქვეყანამ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის.*

რადიკალური ოპოზიცია, მათი აქტივისტები ცდილობენ, რომ შექმნან ხმაური, ისეთი ვითარება, სადაც თითქოს არის არეულობა, უწესრიგობა, კონფლიქტები. ჩანს, რომ ეს არის ორკესტრირებული ქვეყნის მასშტაბით და ემსახურება ერთადერთს, რომ როგორმე ამ არჩევნების დისკრედიტაცია მოახდინონ. ეს საბოლოო ჯაჭში არის ოპოზიციის მოსალოდნელი მარცხის ნაწილი, რისთვისაც ისინი წინასწარ ემზადებოდნენ.

სურთ, რომ არჩევნებს, ისევ ხალხს და საარჩევნო კომისიას გადააბრალონ საკუთარი მარცხი. მოვუწოდებ ყველას, განსაკუთრებით ჩვენს თანამოქალაქეებს, არ აჰყვნენ პროვოკაციებს, მშვიდ გარემოში, მშვიდად მისცენ ხმა, გააკეთონ თავისი არჩევანი და ეს არჩევნები მთელმა საქართველომ, მთელმა ქვეყანამ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის და არავის არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ ძირი გამოუთხაროს ამ საერთო მიღწევას – საქართველოს დემოკრატიულ მიღ-წევას რასაც არჩევნები ჰქვია“, – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

5 საათისათვის ლიხაურის №24 საარჩევნო უბანში 1067 ამომრჩეველმა მისცა ხმა

ალიონი. საარჩევნო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს ლიხაურის №060/24 საარჩევნო უბანში, (თავმჯდომარე დავით ჭელიძე). ჩვენი იქ ყოფნის დროს ამომრჩეველთა ნაკადი ელოდებოდა მათ საარჩევნო რიგს.

კომისიის მდივნის **თეონა ჯაჯანიძის** ინფორმაციით დღის 5 საათისათვის, 1976 ამომრჩევლიდან უბნზე 1007 ამომრჩეველი მივიდა და გააკეთა მისთვის სასურველი არჩევანი. გარდა ამისა 60 ამომრჩეველმა გადასატანი ყუთის საშუალებით მისცა ხმა.

–არჩევნების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, დარღვევები არ არის. დამკვირვებლებს მუშაობის ნორმალური პირობები გვაქვს –გვითხრა „პატრიოტთა“ ალიანსის წარმომადგენელმა **ომარ ბაკურაძემ.**

„კოალიცია ცვლილებების-ათვის“ წარმომადგენელმა **ნატა ჭანიშვილმა** აღნიშნა, რომ მან ჩათვალა, რომ კომისიის ერთ-ერთი წევრი აგიტაციას ეწეოდა და ამიტომ საჩივარი დაწერა.

–ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი ნაკადია და დარბაზში ნაკადის მომწესრიგებელი ხშირად რამდენიმე ამომრჩეველს უშვებს და ამიტომ ვერ ვარკვევ, გაიარა თუ არა ყველამ შემოწმება –გვითხრა „თავისუფალი ხმის“ წარმომადგენელმა **მარიამ ურუშაძემ.**

–როცა გარეთ წვიმს, დარბაზში კი ვუშვებდით ერთად რამდენიმე ადამიანს, მაგრამ ისინი ვერიფიკაციის პროცესს სწორად გადიოდნენ. არც საჩივარი იყო მართებული რომელიც „კოალიცია ცვლილებებისათვის“ წარმომადგენელმა დაწერა, საოლქომაც იცის ამის შესახებ – გვითხრა კომისიის თავმჯდომარე **დავით ჭელიძემ.**

–ახალგაზრდების შენიშვნებს პატივი უნდა ვცეთ. ჯერ-ჯერობით ამ უბანში არჩევნებზე დარღვევები არ ყოფილა, ნორმალურ ვითარებაში მიმდინარეობს –გვითხრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა **ნანა ცეცხლაძემ.**

არჩევნები ნორმალურად მიმდინარეობს

მაკვანეთის №060/25 საარჩევნო ოლქში 1464 ამომრჩეველია საარჩევნო სიაში.

–არჩევნები ნორმალურად მიმდინარეობს. ამომრჩეველთა ნაკადი მთელი დღის განმავლობაში არის –გვითხრა „კოალიცია ცვლილებე-ბისთვის“ წარმომადგენელმა **ალექსანდრე ბურძგლამ.**

– არჩევნები ნორმალურად მიმდინარეობს. უმნიშვნელო ზეწოლა და შეფერხება არ ყოფილა –გვითხრა „ღია სივრცე კავკასიის“ წარმომადგენელმა **პაატა მჟავანაძემ.**

–არჩევნები მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. 800-ზე მეტი ამომრჩეველი მოვიდა ასეთ ცუდ ამინდში. კომისიის წევრები, დამკვირვებლები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს –აღნიშნა ჩვენთან საუბარში „რეფორმებისა და კვლევის ჯგუფის“ წარმომადგენელმა **ივანე საჯაიამ.**

–მცირე ტექნიკური ხარვეზი დაფიქსირდა. აპარატმა არ გაატარა. ხარვეზი მალევე გამოსწორდა –აღნიშნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა **მარგალიტა მოისწრაფეშვილმა.**

გობრონიძეთა საგვარეულო

„დიდმორწმუნე მიქაელი“ (გობრონი)

გობრონიძეთა გვარი საკუთარი სახელიდან გობრონიდან მოდის. ამ საკუთარ სახელებს ჩვენში გმირული წარსული აქვს. **გობრონი** ერქვა ერთ სამხრეთელ ქართველ ციხისთავს, რომელიც X საუკუნის დამდეგს მოღვაწეობდა და 914 წელს, ერთ-ერთი არაბი სარდლის შემოსევისას ყველის ციხითს ედგა სათავეში. 28 დღე და ღამე გმირულად უმკლავდებოდნენ ყველელი ქართველები მრისხანე

დიომიდე გობრონიძე

მტერს და მხოლოდ მას შემდეგ დანებდნენ, როდესაც ძალა გამოელიათ. არაბმა მოძალადემ გმირს რვჯულის შეცვლა მოსთხოვა, რაზეც გობრონმა მტკიცე უარით უპასუხა. განრისხებულმა მტერმა მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა, რაც მაშინვე შეასრულეს. ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ წამებული გობრონი წმინდანად შერაცხა და მიქაელი უწოდა.

გობრონის წამება ტბეთის საეპისკოპოსოს მღვდელმთავარმა **სტეფანე მტბევარმა** აღწერა და მრავალი საუკუნეა ამშვენებს საეკლესიო (ჰაგიოგრაფიულ) მწერლობას. ერთი ხალხური გადმოცემა, სწორედ ამ მამაც მეომარს მიიჩნევს გობრონიძეთა საგვარეულოს ფუძემდებლად. გადმოცემა ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ყველის ციხისთავი (გობრონი) აზნაური იყო, ხოლო გობრონიძეთა გვარში ამ წოდებით დღემდე არცერთი პიროვნება არ არის გამოვლენილი.

გარდა საგეოგრაფო ფაქტორისა, გობრონიძეთა საგვარეულოს წარმოქმნის საქმეში ცხადია, დროის ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. ყველის ციხისთავი მესხი გახლდათ სამცხის ქვეყნის მკვიდრი. გობრონიძეთა საგვარეულო კი საკმაოდ დაშორებულ საგეოგრაფო არეალში (აჭარისწყლის ხეობის ქვემო ხევი) ყალიბდებოდა, არა განვითარებულ შუასაუკუნეებში (XI ს.), როდესაც გმირი აზნაური გობრონი ცხოვრობდა, არამედ გვიანშუასაუკუნეებში (XIII-XIX სს).

გვარ-სახელი **გობრონიძე** პირველად 1463 წელს ერთ წარწერაში იხსენიება (სოფ. გობრონეთი). ამ თარიღიდან 16 წლის შემდეგ ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და მალე შეუდგნენ მეზობელ ქვეყნებზე ლაშქრობებსაც. 1461 წელს

ევტიხი გობრონიძე

ტრაპიზონის იმპერიაც დაეცა და ოსმალეთიც უშუალოდ მოადგა საქართველოს. 1545 წელს გამოღმა ბასიანში (სოფ. სოხოისტა) ქართველებმა დიდი ომი გადაიხადეს ოსმალებთან. ეს საბედისწერო ომი ჩვენი მხედრობის დამარცხებით დამთავრდა, რამაც მტერს შემდეგი ბრძოლებისათვის გაუხსნა გზა. ორი წლის შემდეგ ოსმალებმა გურიის სამთავროს შემოუტიეს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების შემდეგ გურიას სამხრეთ-დასავლეთის მხარის ყველაზე დიდი ციხე გონია წაართვეს და მდინარე ჭოროხის შესართავს მოადგნენ.

გავიდა კიდევ ორი წელი და ოსმალები ახლა გურიის სამთავროს მეზობელ სამცხე-საათაბაგოს დაესხნენ თავს. მოაოხრეს ჭოროხის ხეობის შუა და ზემო წელი და შავშეთში შეეჭრნენ. იმ დროს აჭარისწყლის ხეობა გურიის სამთავროს ფარგლებში იყო, მაგრამ ოსმალებმა მას ყურადღება არ მიაქციეს და გურიელს ამ ხეობის ქვემო მხარე აუოხრეს.

ქვემო ხეველმა გობრონიძეებმა სწორედ ამ დროს იგრძნეს ოსმალთა სიავე და შიშით დაუწყეს მომავალს ცქერა. და აი, 1561 წელს ოსმალნი ისევ მოადგნენ აჭარისწყლის ხეობას.

გურიის მთავარი **როსტომ ვარდანიძე** (1534-1565) მედგრად დაუხვდა მტერს, მაგრამ მისი წინსვლა ხეობაში მაინც ვერ შეაჩერა და ოსმალებმა მთელი ხეობა ჩამოაჭრეს როსტომის სამფლობელოს.

მტერმა აღწერა დაპყრობილი ქვეყანა და მის ოსმალურ ყაიდაზე მოსაწყობად დაიწყო ზრუნვა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ აჭარისწყლის ხეობიდან დაიწყო ლტოლვილთა გადაადგილება ქვეყნის უფრო დაცულ მხარეებისაკენ. ეს პროცესი საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა. ასე დაიცალა ქვემო ხევის უმშვენიერესი სოფელი გობრონეთი და არა მარტო ის; დაცარიელდა სოფელი ხაბელაშვილებიც. სოფელ ინწკირვეთის მკვიდრთა მნიშვნელოვანი ნაწილიც დატოვა სამკვიდრო და თავი შუა გურიას შეაფარა. ყველას ვინ მოთვლის.

ამ ძნელბედობის ჟამს გურიის სამთავრო კარი დიდ ორგანიზებულობას ავლენდა და დევნილებსაც

აკადემიკოსი ალექსანდრე გობრონიძე

საცხოვრებლითა და სარჩოთი უზრუნველყოფდა. გობრონიძეების ერთი ნაწილი გურიანთაში დაასახლეს. გურიანთის მოურავის, **თავად ნაკაშიძის** 1828 წლის მოხსენებაში, ორი გურიანთელი ყმა გობრონიძე მოიხსენიება, **დიმიტრი** და **იესელა.** გურიანთა ნაკაშიძეთა სათავადოს გული იყო, მაგრამ გობრონიძეები სათავადო ყმებში არ ირიცხებოდნენ. იესელაც და დიმიტრიც სააზნაურო ყმები იყვნენ.

გურიანთაში ამ დროს რამდენიმე სააზნაურო საგვარეულო გახლდათ. ესენი იყვნენ: თაყაიშვილები, ნაკიძეები, სალუქვაძები, შევარდნაძეები, წითლიძეები. სამწუხაროდ, მოხსენებიდან არ ჩანს, რომელი მათგანის ყმები იყვნენ გობრონიძეები.

გავიდა ხანი და ბატონყმობის სისტემაც გაუქმდა. 1905 წელს ქართველებმა რუსეთის მეფესაც უჩვენეს თავისი ძალა. 1918 წელს კი საქართველომ დამოუკიდებლობაც მოიპოვა. ქვეყანა წინ მიდიოდა. ახალგაზრდობამ თბილისის უნივერსიტეტს მიაშურა. გობრონიძეთა გვარიდან ერთ-ერთი პირველი ვინც დედაქალაქში ფსიქიატრიის ურთულეს დარგში დიდ წარმატებას მიაღწია, გაღმა დვაბზუელი **ევტიქი გობრონიძე** (1903-1988 წ.წ.) იყო – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების

გენერალი ალექსანდრე გობრონიძე

ლიხაურიდან ქ. თბილისში **რაჟდენ გობრონიძე** (1903-1976), რომელიც სხვადასხვა საპასუხისგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. მისი მეუღლე ბაბულია სადუნიშვილი, ზემო იმერეთიდან –სავანედან გახლდათ, დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის გამზრდელი სადუნიშვილების პირდაპირი შთამომავალი.

ასევე სხვადასხვა საპასუხისგებლო თანამდებობებზე მუშაობდნენ მისი შვილები **ოთარი, ომარი, სოსო.** მათგან ოთარი, გეოლოგი იყო სპეციალობით და ერაყსა და ირანში მუშაობდა. გეოლოგების ცხოვრებას მიუძღვნა მან მოთხრობების კრებული „თეა“ (1963 წ), რომლის მოთხრობების მიხედვით ცნობილმა რეჟისორმა **არჩილ ჩხარტიშვილმა** დადგმა განახორციელა მარჯანიშვილის თეატრში. შემდეგ იგი იყო ერთ-ერთი საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი. 1978 წელს, 46 წლის ასაკში დაიღუპა ავტოავარიისას.

რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905 წ.წ.) თავი ისახელა ლიხაურელმა **დიომიდე გობრონიძემ**(1883-1922) იგი პორტ არტურის ბრძოლის გმირი იყო.

1904 წელს, როცა რუსეთის არმიამ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, ლიაონინის მახლობლად უკან დაიხია, მტერს რომ არ გაენადურებინა, საჭირო გახდა მდინარე შახერზე ხიდის აფეთქება, რადგან იაპონელები ხიდის გადმოლახვა დაიწყეს და რუსების ჯარზე შეტევას აპირებდნენ.

ხიდის აფეთქება ლიხაურელმა დიომიდე გობრონიძემ იკისრა, რომელმაც დანაღმა იგი და ააფეთქა კიდეც. თავად სასწაულად გადარჩა. ხიდის აფეთქების შემდეგ თავის არმიას მოწყვეტილ იაპონელებს კი რუსებმა შეუტიეს და გაანადგურეს.

მისი გმირობის ამბავი პეტერბურგამდეც მივიდა და იმპერატორმა **ნიკოლოზ მეორემ** იმპერიის დედაქალაქში პირადად გადასცა ოქროს ჯვარი, ხოლო შემდეგ სხვა საგმირო საქმეებისთვის „წმინდა გიორგის ჯვრის“ ოთხივე ორდენის სრული კავალერი გახდა.

კაპიტანმა **გრიგოლ გობრონიძემ,** როგორც ღირსეულმა მეთაურმა (1916–1998) თავი ისახელა დიდ სამამულო ომში. იგი იბრძოდა მოსკოვთან, ხარკოვთან. ამ ბრძოლებში იგი მძიმედ დაიჭრა. დაჯილდოებული იყო

გრიგოლ გობრონიძე

სამამულო ომის პირველი ხარისხის და სხვა საბრძოლო ორდენებით, მედლებით.

შინაგან საქმეთა ორგანოებში

რაჟდენ გობრონიძე, ბაბულია სადუნიშვილი

მიენიჭა და მოსამართლეთაგან პირველს გადაეცა ილია ჭავჭავაძის მედალი ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე **რევაზ გობრონიძეს.**

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ასევე ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე **ნინა გობრონიძე,** რომელიც გასული საუკუნის 40- 50-იანი წლებიდან უძღვებოდა ამ საქმეს.

გონიერებით, ენერგიულობითა და პატიოსნებით გაითქვა სახელი **თამაზ გობრონიძემაც.** იგი თავდაპირველად ოზურგეთის რაიონული გაზეთის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე იყო, შემდეგ კი ათეული წლის განმავლობაში გახლდათ ჯერ ბახვის, შემდეგ გაღმა დვაბზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

შოთა გობრონიძემ კი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდას დასდო ღირსეული წვლილი. იგი დიდხანს წარმატებით

აკაკი გობრონიძე ბახმაროში იმშამინდელ ქვეყნის პირველ პირთან ვასილ მჟავანაძესთან ერთად;

ნაყოფიერად იღვაწა გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა **ვიქტორ გობრონიძემ.** შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობდა პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **გენადი გობრონიძე.**

გობრონიძეთა საგვარეულოს ამშვენებს იურისპუდენციის დოქტორი, ერთ დროს ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი და ოზურგეთის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე **აკაკი გობრონიძე.**

1983 წელს საქართველოს საუკეთესო მოსამართლის წოდება იყო.

გობრონიძეებს ბიზნესშიც აღმოაჩნდათ შესაშური ნიჭი. ამ მხრივ გამორჩეულია სააქციო საზოგადოება „იმედის“ დირექტორი **ოლეგ გობრონიძე,** რომელიც წლების მანძილზე იყო ოზურგეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წამყვანი წევრი.

ეს არასრული სიაა. ღვაწლმოსილ გობრონიძეებზე საუბარი მომავალშიც გაგრძელდება.

იური სიხარულიძე
პროფესორი
2011 წ. წ.

დიდი გადახვევა - ჩვენებური ავტორის მონაწილეობით



კიდევ ერთხელ უნდა გადავუხვიო და მეტად საინტერესო მეცნიერი გაგახსენოთ, გავაცნოთ - **აკაკი ხინთიბიძე**. კი, კი ჩვენი ზინა მასწავლებლის ორი ცნობილი ძმისგან ერთ-ერთი და ჩვენი ილო მასწავლებლის ცოლის ძმიდან ერთ-ერთი.

საქმე იმაშია, რომ რამდენი დღეა ბატონი აკაკის მეტად საინტერესო მონოგრაფიას ვაციფრულებ. საოცარი წიგნია „ქართული ლექსის ისტორია და თეორია". გამოცემულია ივანე ჯავახი-შვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2009 წელს. წიგნი განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისა და ლექტორებისათვის,აგრეთვე ქართული ლექსით დაინტერესებულ მკითხველთა-თვის, ეი. ჩემთვისაც და გაზეთ „ალიონის" მკითხველთა უმრავლესობის ჩათვლით.

მოდი, ესეც ვთქვათ, ნაშრომს წინათქმაც ახლავს, წინათქმას ეპიგრაფიც ახლავს. მე წინათქმას გაგახსე-ნებთ/ გაცნობთ. „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში" - ავტორად „ჭაშნიკია" მოხსენებული.

„ჭაშნიკი" რა არის?

„ჭაშნიკზე" სულ ცოტა რამ ვიცი და ახლავე გაგახსენებთ თუ გაგაცნობთ: „ჭაშნიკი": ჟურნალი ჟურნალში. - თბილისი, 1964. - 25 სმ. - ჟურნალ „ცისკრის" ილუსტრირებული დამატება (1964).ესაა, „ჭაშნიკზე" რაც ვიცი და ამა, სხვარაღა მოგახსენო. „წინასიტყვაობას" სრულად შემოგთავაზებთ, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც დაგანახებთ დიდებული ავტორის არაჩვეულებრივ წიგნს.

„ქართული ლექსის ფენომენი ისევე უნიკალურია, როგორც ქართული ენის. მისი კვლევაც ადრევე უნდა დაწყებულიყო, იოანე ზოსიმეს ქართული ენის ქების დროიდან (X საუკუნე) – რუსთაველის პოემის შემდეგ მაინც (პროლოგის პოეტიკა).

მამუკა ბარათაშვილის „სწავლა ლექსის თქმისა" ქართული ლექსის კვლევის გვიანდელი ეტაპია. ადრინდელი პოეტიკური ძიებანი დროთა უკუღმართობას შეწირა.

აკაკი გაწერელიას და გიორგი წერეთლის ფუნდამენტური ნაშრომები XX საუკუნის შუა წლებშია შექმნილი.

წინამდებარე მონოგრაფია ქართულ ლექსზე ჩემი ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის ნაყოფია. მას წინ უსწრებდა ნიგნები: „პოეტური ხელოვნების საკითხები",„ლექსმცოდნეობის საკითხები", „ქართული ლექსის ბუნებისათვის", „ქართული ლექსის განვითარების გზა", „პოეტიკური ძიებანი",„ცენზურა ქართულ ლექსში," „ვერსიფიკაციული ნარკვევები", „ქართული ლექსმცოდნეობა" – ლექციების კურსი, „ქართული ლექსი" – სასკოლო სახელმძღვანელო და სხვ.

მონოგრაფიაში ლექსწყობის საკითხები ყოველთვის პროპორციების დაცვით არ არის ნარმოდგენილი. ზოგიერთი, რომელიც სხვა მკვლევართა მიერ იყო შესწავლილი და ჩემს თვალსაზრისს ეთანხმებოდა, ანდა იმდენადაა ცნობილი, რომ ხელმეორე განხილვას აღარ საჭიროებდა, შეკუმშულია, ხოლო უფრო დიდი ადგილი ეთმობა საკუთრივ ჩემ მიერ გაანალიზებულ პრობლემებს.

ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორია, ცალკეულ ავტორთა შეხედულებანი ჩვენი ლექსწყობის ბუნებაზე წარმოდგენილია თავში – ქართული ლექსის სილაბურობისა და სილაბურტონურობის თეორიები.

შედარებით ვრცლადაა განხილული ქართული რითმა, რაზედაც საგანგებო გამოკვლევა არ არსებობს.

წიგნში ქართული რითმის ხელოვანთა ერთგვარი პორტრეტებიცაა მოცემული.

იმდენად რთული და მრავალისმომცველია ქართული ლექსის ისტორიისა და თეორიის პრობლემატიკა, რომ ალბათ არაერთი საკითხი კვლავ გაურკვეველი ან ახლებურად გადასაწყვეტი დარჩა, რაც ლექსმცოდნეთა ახალ-ახალ თაობებს ელის."

დღეს 14 ოქტომბერია!

გრიგოლ ორბელიანის დაბადების დღეა!

გრიგოლ ორბელიანი 220 წლისაა და ახალი თაობები კითხულობენ. ვიმედოვნებ, ასევე გაგრძელდება მომავალშიც!

რაც შეეხება ეროვნული ბიბლიოთეკის დამოკიდებულებას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, არის შემდეგი: სწორედ ამ დღისთვის სპეციალურად არის გაციფრულებული „თხზულებათა სრული კრებული: 1804-1883" (თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1859 წ.).

მოდით, ისიც აღვნიშნოთ, რომ „სრული კრებული" გაციფრულებულია როგორც სკანირებული და გატექსტებული ფაილის სახით, ისე ციფრული კოლექცია „მამარდაშვილის" ქვეკოლექცია „აკადემიურ გამცემებში".

დიდი მადლობა კოლეგებს, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელისა" და სამოქალაქო განათლების განყოფილების თანამშრომლებს.

ბატონი აკაკის „ქართული ლექსის ისტორია და თეორიას" ვუბრუნდები, სადაც



გრიგოლ ორბელიანი პირველად, 23-ე გვერდზეა ნახსენები „დავით აღმაშენებლის ეპიტაფიაში".

მოდით, ჯერ თავად ეპიტაფია გავიხსენოთ:

არსენ იყალთოელი

დავით აღმაშენებლის ეპიტაფია

ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,

თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე გამესხნეს,

თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,

აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედა დამესხნეს.

ახლ კი, პირველი შეხვედრა გრიგოლ ორბელიანთან (რასაკვირველია, „ქართული ლექსის ისტორია და თეორიაში").

„პირველ და მესამე სტრიქონებში დავითი წარმოდგენილია, როგორც ქვეყნის გამაერთიანებელი მეფე: „როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს" და „თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალში შთამესხნეს". დავითმა შემოირიგა განდგომილი ერისთავები, შემოიმტკიცა სამთავროები, გაამთლიანა ამერი და იმერი, ერთ მუშტად შეკრა დაქუცმაცებული ქვეყანა, აღაშენა სრულიად საქართველო. არ შეიძლება პოეტს, საზოგადოდ, ჰიპერბოლიზაციის გარეშე მოუბრუნდეს ენა დავით აღმაშენებელზე: „დავით ჰსთქვი: იყავ ქალაქნი და აღმოცენდნენ ქალაქნი" (გრიგოლ ორბელიანი)."

შემდეგი სამი „გახსენება" კიდევ უფრო საინტერესოა: აბა, ნახეთ:

„ვიდრე უშუალოდ ბარათაშვილის ნოვაციების განხილვას შევუდგებოდე, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ გრიგოლ ორბელიანზე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თავისი დისწულის შემოქმედებით ფორმირებაში.

იმის მიუხედავად, რომ გრიგოლ ორბელიანი მუხამბაზებსაც წერდა, იგი ილია ჭავჭავაძემ ევროპეიზმის გამგრძელებლად მიიჩნია,რადგან მუხამბაზებშიც კი „საღამო გამოსალმებისას" ავტორი გამოსახვის აღმოსავლურ სტილს უპირისპირდება. საერთოდ გრიგოლ ორბელიანის პოეზია რეაქციაა ბესიკისა და მისი სკოლის წინააღმდეგ (მეტაფორული აზროვნების შეზღუ-დულობა, სასაუბრო ინტონაცია, არაკეთილხმოვანი ნაკლული რითმა, თეორი ლექსი).

თავისი ბიძისაგან ისწავლა ბარათაშვილმა უცხო ხმათა და ფორმათა შეუთავსებლობა ქართული ლექსის ბუნებასთან. ამიტომ იგი ყოველგვარი ძიებისა და მზადების გარეშე,პირველივე პოეტური ნიმუშებით შეუდგა ლექსის გადახალისებას."

განვაგრძოთ:

„ცალკე უნდა გამოიყოს ქართველ რომანტიკოსთა ისეთი რითმები, რომელთა რამდენიმემარცვლიან სარითმო სიტყვებში მხოლოდ ერთი (ბოლო) მარცვალია შეთანხმებული: სიმწვანით-მოფენით (გრიგოლ ორბელიანი), მინდვრის-მომყრის (ნიკოლოზ ბარათაშვილი). მათთვის შესაფერი იქნება კვალიფიკაცია – ნაკლული. ამ სახის რითმები მხოლოდ რომანტიკოსთა პოეზიაში არ გვხვდება. იგი იშვიათად, მაგრამ მაინც სხვაგანაც იჩენს თავს".

„ერთსიტყვიანი რედიფიანი რითმის ნიმუშია: ენა ხარ-ზენა ხარ (აკაკი). ორსიტყვიანისა: ცურისაგან ლამაზი ხარ-პურისაგან ლამაზი ხარ-ქურისაგან ლამაზი ხარ-სურისაგან ლამაზი ხარ (საიათნოვა). ზოგჯერ რითმის დამატება (რედიფი) სამსიტყვიანია: ბაღში მნახე, ვინა ვარ- ლხინში მნახე, ვინა ვარ- ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ- კრივში მნახე, ვინა ვარ (გრიგოლ ორბელიანი). სტრიქონები ჯვარედინად ირითმება: ბაღში-ტოლუმბაში, ლხინში-კრივში".

აი, შემდეგ აბზაცს კი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

„თეთრი ლექსი ქართულ პოეზიაში, ფაქტობრივად, გრიგოლ ორბელიანმა შემოიტანა („ჩემი ეპიტაფია", „მუშა ბოქულაძე", „ფსალმუნი", „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ"). 210 ეს, შესაძლოა, რუსულ-ევროპული პოეზიის გავლენა იყო, მაგრამ, არსებითად, გრიგოლ ორბელიანი თეთრ ლექსამდე თავისი ლექსების ნაკლულმა რითმებმა მიიყვანა: მოცინარე-ვიდრე, კავკასსამოხუცსა, მკერვალი-თაიგული. ამ რითმებიდან ერთი ნაბიჯია სრულ ურითმობამდე."

„ქართველ რომანტიკოსთა რითმაზე საუბრისას მკვლევართ გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია აქვთ მხედველობაში. სპეციალურ გამოკვლევაში „რითმა ქართულ ლექსში" კონსტანტინე ჭიჭინაძე ალექსანდრე ჭავჭავაძესაც ასახელებს. მაგრამ ნარკვევში „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტიკა", სადაც ეს საკითხი უფრო დეტალურად არის განხილული, ალექსანდრე ჭავჭავაძე ნახსენები არ არის".

„შეინიშნება მსგავსება გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარა-თაშვილის რითმებთანაც. ზემოთ მოტანილი სამტაეპედი ზუსტად ასეთი ან ოდნავ განსხვავებული გარითმვით თავს იჩენს ბარათაშვილის ლექსებში: „ჩონგურს"და „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ".

„როგორც ვთქვით, ურითმო, თეთრი ლექსით თარგმნა ალექსანდრე ჭავჭავაძემ პუშკინის „სპილენძის მხედარი" და ნიკოლოზ ახვერდოვის „პეტრე ბაგრატიონისათვის". იგი წინ უსწრებს გრიგოლ ორბელიანის თეთრ ლექსებს".

უშუალოდ რითმას არ ეხება, მაგრამ საინტერესოა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს „ძეობა" რეფრენად აქვს ხალხური სტრიქონი: „მზევ, შინ შემოდიო", რომელიც შემდეგ ასევე რეფრენად გამოიყენა გრიგოლ ორბელიანმა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის, სოფიოს, დაბადების გამო დაწერილ ლექსში და მიუძღვნა სოფიოს დედას სალომეს („სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ").

„თუ ალექსანდრე ჭავჭავაძის რითმა შესწავლილი არ არის, მასზე საგანგებოდ არავის დაუწერია, გრიგოლ ორბელიანისა და ბარათაშვილის რითმაზე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს.

„მართალია, ეს ნაშრომები სახელდებით ბარათაშვგილისადმია მიძღვნილი, მაგრამ ყველგან გრიგოლ ორბელიანის რითმაც არის ნახსენები თუ ნაგულისხმევი."

„კონსტანტინე ჭიჭინაძის აზრით, „გრიგოლ ორბელიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა მოახდინეს წინადროინდელი ქართული კლასიკური პოეზიისთვის დამახასიათებელი სრული რითმის დეკანონიზაცია და მის მაგიერ ნაკლული რითმა დააკანონეს".

„ალექსანდრე ჭავჭავაძე მხოლოდ ბიბგის მიმცემი იყო. არსებითად კი ნაკლული რითმა თავისი სრული სახით პირველად გრიგოლ ორბელიანის ლექსებში გამოჩნდა და კანონიკური სახე მიიღო".

თუ ალექსანდრე ჭავჭავაძე სრული რითმებით იწყებს ლექსების წერას, გრიგოლ ორბელიანის პირველივე ლექსი „ანტონს" (1829 წ.) ნაკლული რითმებითაა გაწყობილი: მოცინარე-ვიდრე, სიყვარული-შეჭმუსვნილი, განქარვებული-ღიმილი. ვითარებას არ ცვლის ორიოდე იდენტური რითმა. სიხარული-სიყვარული, აღყვავებული-განქარვებული. ძირითადად, ასეა: ორ ან რამდენიმე მარცვლიანი სიტყვების შერითმვისას მხოლოდ ბოლო მარცვლებია შეთანხმებული: ესმის-გუშაგის, რომელსა-გულ-წყლულსა („საღამო გამოსალმებისა").

„ამავე დროს, ვერ ვიტყვით, რომ გრიგოლ ორბელიანს უჭირდა მრავალმარცვლიანი სრული რითმის პოვნა: გრიალი-ტრიალი-სრიალი-ბრიალი-კრიალი („იარალის"),იანი-ღიანი („ფრაგმენტები"),უსწავლელთა-რუსთაველთა („პასუხი შვილთა"), ვისცა-სიხარულის ცა (რო... ორ"), განმზადებულსა-ბნელ გულსა (""„იმედო,ნუთუ ღმერთი ხარ") და სხვ."

„...გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზებშიც გვხვდება სრული, კეთილხმოვანი რითმები – ომონიმური: დაუკარ-დაუკარ,

აივსოს-აივსოს, მისმინა-მის მინა! ახ, ალი-ახალი („სავათნავას მიბაძვა"), ტავტოლოგიური: შენი ვარ-შენი ვარ, მგონია-მგონია („მუხამბაზი – გინდ მეძინოს"), სადა ვარმზადა ვარ („დიმიტრი ონიკაშვილის დარდები")."

„მაგრამ ძირითადად გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზთა რითმებიც ნაკლულია: მკერვალი-თაიგული, გვაკლებენ-მელოდნენ, დიდკაცნი- ბეჟანი („მუხამბაზი – არავისთვის მე დღეს არა მცალიან"). „მუხამბაზში" (ნუ მასმეც ღვინოს") ათი რითმიდან რვა არაკეთილხმოვანია."

„ნაკლული რითმიდან ერთი ნაბიჯია ურითმობამდე და გრიგოლ ორბელიანიც გაბედულად დგამს ამ ნაბიჯს. მანამდე

თითქმის ყველა ორიგინალური ქართული ლექსი რითმიანი იყო. ურითმობა ახასიათებდა მხოლოდ ზოგიერთ ხალხურ ლექსს (სვანური, ხევსურული მთიბლურები) და სასულიერო იამბიკოებს. გრიგოლ ორბელიანმა კარგად იცოდა: „ვანა რითმა რომ არ იყოს, ლექსი არ იქნება?" (ილია ჭავჭავაძე) და რამდენიმე პირველხარისხოვანი ლექსი ურითმოდ დატოვა: „ჩემი ეპიტაფია", „მუშა ბოქულაძე", „ფსალმუნი", „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ". გარდა ამისა, „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები", რომელიც იდენტური რითმით იწყება, მაგრამ ურითმო სტრიქონებით გრძელდება და თავდება."

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ორტაეპიანი ურითმო ლექსები:

აწ სად ხართ, გმირნო! გზა ცხოვრე ბისა განვლეთ დიდებით და მოგვეფარეთ. ანდა: აწ ვხარობ, მაგრამ მტანჯავს ეს ფიქრი, რომ სიხარულსაც აქვს დასასრული.

თვალში საცემია ერთი რამ: რითმის დაკლება ან სრული ურითმობა უფრო მეტად ბოლოდროინდელი ლექსებისთვისაა ნიშანდობლივი. არასრული, ერთ მარცვალზე შერჩენილი რითმიდან პოეტი თანდათან გადავიდა ურითმობაზე.

საგულისხმოა, რომ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში საკმაოდ ძლიერია რელიგიური მოტივები და მოულოდნელი არ არის, რომ „ფსალმუნის" ავტორმა ურითმო იამბიკოების ფორმა მოიმარჯვა. რელიგიურ თემაზე დაწერილი პატარა ლექსის: ""? „იმედო, ნუთუ ღმერთი ხარ" ერთი ადგილი ურითმოდაა დატოვებული, თავად „ფსალმუნი" – თავიდან ბოლომდე ურითმო ლექსი – შინაარსითა და განწყობილებით ნამდვილი საგალობელია, ხოლო „ჩემი ეპიტაფია" ტიპიური იამბიკოა 12-მარცვლიანი საზომით (5/7) და ურითმობით.

მეორე მხრივ, გამორიცხული არ არის ევროპული თეთრი ლექსის გავლენა. რომანტიზმი, რომლის ტიპიური წარმომადგენელი გრიგოლ ორბელიანი იყო, ევროპიდან წამოსული ლიტერატურული მიმდინარეობაა.

როგორც ნაკლული რითმა, ისე თეთრი ლექსი მრავალსაუკუნოვან სავალდებულო და სრულრითმიან ქარ-თულ პოეზიაში მთლიანი შემობრუნება იყო.

„გრიგოლ ორბელიანის ნაკლული რითმა პირდაპირი გზით გადავიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში".

– გიო! – მესმის დედაჩემის ხმა, რომელიც აქამდე უხმოდ იჯდა და სპეციალურად მისთვის გადიდებულ ეკრანზე აკრეფილ თუ „დაკოპირებულ" ტექსტს გულდასმით კითხულობდა.

– ბატონო! – მივუბრუნდი და ისე ვუპასუხე. - გინდოდა რამე?

– არა, კარგია, არაფერი რომ არ დაწერე შენი და მხოლოდ ავტორის ტექსტი წამაკითხე! დასასრულე?

არადა, ჩემს კომენტარებს დართვას ვაპირებდი შიდა-შიდ, უფრო ხშირად!

გიო კილაძე

გური სიხარულიძის გახსენება

გური იპოლიტეს ძე სიხარულიძე დაიბადა 1930 წლის 23 ნოემბერს სოფელ მაკვანეთში. დედა –ნატაშა გოლიაძე დიასახლისი და კოლმეურნე ქალი იყო. მამა – იპოლიტე მშრომელი გლეხი კაცი. კარგი გაწყობილი ურემი და კარგი ხარები ჰყავდა, რითაც არჩენდა იგი თავის ოჯახს. იპოლიტე შესანიშნავი მომღერალი იყო, კარგი ბანი ჰქონდა, რომელიც მხედველობიდან არ გამორჩენია ცნობილ ლოტბარს ვარლამ სიმონიშვილს და მამაჩემისთვის უთქვამს: მომიყვანე შენი ძმი ჩემთან ანსამბლშიო.

მამაჩემს – ილარიონს მიუყვანია იპოლიტე ვარლამთან და იგი ბოლომდე –სანამ სამამულო ომში არ გაიწვევდნენ, მანამდე იყო ამ ანსამბლის წევრი. იპოლიტე ომიდან არ დაბრუნებულა –ქერჩში დაიღუპა. ოჯახს დედა ელისაბედი და მეუღლე ნატაშა უძღვებოდნენ. ილარიონიც არ აკლებდა ყურადღებას ობოლ ძმისშვილებს.

ილარიონმა განსაკუთრებული ყურადღება გურის მიაქცია, რადგან სიმღერის მიმდევარმა ახალგაზრდამ კარგად აუღო ალღო ბიძის მიერ ნასწავლს გურულ სიმღერებს და საბოლოოდ შედეგიანი მომღერალი დადგა.

მე მახსოვს, მამაჩემი როცა სახლში იყო მეუბნებოდა: –,,წადი *მამა, ამეყვენე გურიე* და *დავამთავროთ გუშინდელ* დაწყებული *,,ჩვენ ძმვიდობა''* და *,,მადლობელი''*-ო. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე და გური საბოლოოდ დადგა ერთ-ერთი შესანიშნავი გურული სიმღერების უბადლო შემსრულებელი, რომელსაც ხშირად იხსენებენ სიმღერის მოამაგენი და რომელსაც დავიწყება არ უწერია. გური სხვადასხვა დროს მღეროდა ისეთ შესანიშნავ ლოტბარებთან, როგორებიც იყვნენ: არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილები, ამირან თოიძე; შესანიშნავ მომღერლებთან: ტელე იობიშვილი, დომენტი ქარჩავა, შერმანდინ ჭკუასელი, ესე ჭანიშვილი, კოტე პაპავა, გედევან მჟავანაძე და სხვები.

გური იყო ოზურგეთის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის, ანსამბლ ,,ელესას'', მაკვანეთის სოფლის გუნდის წამყვანი მომღერალი და რაც ყველაზე უფრო გამორჩეულია და შეიძლება ჩაითვალოს – ტრო ,,შალვა ჩემოს''ღირსეული მომღერალი.

ტრიო ,,შალვა ჩემო''-მ უდიდესი განძი დაუტოვა მომავალ თაობას. ტრიომ გამოუშვა უნიკალური ჩანაწერები, რომელიც სასაწავლო პროგრამა გახდა მომავალი მომღერლებისთვის და დღესაც სარგებლობენ ამ ჩანაწერებით. განსაკუთრებით გურის ვარიანტს ეწაფებიან ახალბედა მომღერლები. და მართლაც თამამად შემიძლია ვთქვა: –გურული სიმღერების უბადლო შემსრულებელთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი გური სიხარულიძეს უკავია. მე, როგორც მისი ახლობელი, კოლეგა და პარტნიორი თაყვანს ვცემ მის ხსოვნას და ვევედრები ღმერთს: ამრავლოს ისეთი დიდოსტატები, როგორიც გური სიხარულიძე იყო.

გურიის წელს, 23 ნოემბერს 94 წელი შეუსრულდებოდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ეს სწორუპოვარი მომღერალი.

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნებვის ქურუმი.

მილოცვა

ჩვენს შვილს სოფო ნაცვალაძეს, საყვარელ სიძესა და მის კარგ დედას –გიგა და მარინა ჯანაშვილებს ვულოცავთ პირველი შვილისა და შვილიშვილის საბას შემძენას. ღმერთმა აბედნიეროს და გაამრავლოს მათი ოჯახი.

ნანა და კობა ნაცვალაძეები.

მილოცვა

ჩვენს ძვირფას ადამიანებს თეონა ნაცვალაძეს და ზურაბ ფასიეშვილს ვულოცავთ დაბადების დღეებს. ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ნანა და კობა ნაცვალაძეები.

სკანვორდი





პასუხები:

ანიბრეგ ფასიეშვილი; ბიგიკო ბაბილოდანი; ბიგზიტ ბაბილოდანი; ბიგზიტ ბაბილოდანი; ბიგზიტ

რევოლუციის დამარცხება

რუსული კოლონიზაციის ახალი ეტაპი და მისი პერსპექტივები

დასაწყისი „ალიონი“ № 5-9. 11-16



გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კავკასიის მეფისნაცვალისაჭიროდ მიიჩნევდა, ის სახელმწიფო მიწები, რომლებითაც სახელმწიფო გლეხები სარგებლობდნენ, გლეხობისათვის საკუთრებაში დაემტკიცებინათ. 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტის ძალით, რუსეთის იმპერიის ევროპული ნაწილის გუბერნიების სახელმწიფო გლეხები კერძო მესაკუთრეებად იქცნენ. გამოიცა თუ არა მანიფესტი, ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა იმპერატორის წინაშე იშუამდგომლა, რათა მანიფესტი კავკასიის სახელმწიფო გლეხებზეც გავრცელებულიყო. **ვორონცოვ-დაშკოვის** შუამდგომლობა მიუღებლად მიიჩნია რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ და მიწათმოწყობისა და მიწათმფლობელობის სამმართველომ. მათ თავიანთი პოზიცია იმით დაასაბუთეს, რომ კავკასიის სახელმწიფო გლეხების მიწათმფლობელობის საკითხი 1900 წლის 1 მაისის კანონმა გადაჭრა. ვორონცოვ-დაშკოვი ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა და 1900 წლის 1 მაისის კანონის დამოწმება გაუმართლებლად მიიჩნია. მეფისნაცვალი იმპერატორს მოახსენებდა, რომ ალექსანდრ II-ის მიერ ხელმოწერილი 1861 წლის 5 მარტის დებულება საკუთრების ფლობის უფლებას სახაზინო მიწებზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხებსაც აძლევდა, რაც კავკასიაზეც უნდა გავრცელებულიყო. მეფისნაცვალი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ საკითხის გადაჭრა ძალზე გაჭიანურდა.

კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი გლეხობის იდეოლოგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მას მხოლოდ ერთი პრობლემა აწუხებდა, უსამართლო საგადასახადო სისტემას შეიძლებოდა გლეხობის უკმაყოფილება და სოციალური ამბოხი გამოეწვია. ამის მაგალითი 1905 წლის რევოლუციამ სულ ცოტა ხნის წინ მისცა რუსეთის ხელისუფლებას.

2. სახალხო განათლების სისტემის გაუმჯობესება. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს მოახსენებდა, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებში სახალხო სკოლების დანიშნულებას მოსახლეობის გონებრივი განვითარება წარმოადგენდა. მეფისნაცვლის აზრით, სახალხო სკოლებს იგივე ფუნქცია ჰქონდათ კავკასიაში, თუმცა აქ მას კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულება გააჩნდა: ადგილობრივ მოსახლეობის მიერ რუსული ენის შესწავლა, რომელიც სხვადასხვა ხალხის გაერთიანების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენდა. ვორონცოვ-დაშკოვი მიიჩნევდა, რომ კავკასიის სახალხო განათლების სისტემა არ შეიძლებოდა დამაკმაყოფილებლად შეფასებულიყო. უმთავრეს ნაკლად მეფისნაცვალი იმას მიიჩნევდა, რომ სახალხო სკოლების უმრავლესობაში რუსული ენა სწავლების ძირითად ენად არ იყო აღიარებული. კერძოდ, თბილისის გუბერნიის 157 სახალხო სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო რუსულ ენას შედარებით უმნიშვნელო ადგილი ეთმობოდა. მეფისნაცვალი უარყოფით მოვლენად მიიჩნევდა იმას, რომ სოფლის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა იცოდა რუსული, ხოლო სოფლელი ბავშვები საერთოდ ვერფლობდნენ მას. სოფლებში რუსული ენის მასწავლებლები ძირითადად ქართველები იყვნენ, ხოლო სასწავლო პროგრამები ისე იყო შედგენილი, რომ ორკლასიანდა მითუმეტეს, ერთკლასიან სკოლებში რუსული ენის შესწავლა წარმოუდგენელი იყო. ბავშვები რუსულ წერა-კითხვას ვერ სწავლობდნენ, ხოლო რუსული ენის უცოდინარობა ხელს უშლიდა პროგრამით გათვალისწინებული სხვა საგნების შესწავლას. მეფისნაცვალი დაასკვნიდა: **კავკასიის სახალხო სკოლებში ბავშვები სათანადოდ ვერც გონებრივად ვითარდებოდნენ და ვერც რუსულ ენას სწავლობდნენ.** ვორონცოვ-დაშკოვი კიდევ უფრო უღრმავდებოდა პრობლემას და აღნიშნავდა, რომ სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლების მეთოდი უვარგისი იყო. კავკასიის სახალხო განათლების სისტემის კრიტიკის შემდეგ მეფისნაცვალი დაასკვნიდა: **მშობლიურ ენაზე სწავლება და წიგნების მშობლიურ ენაზე გამოცემა კიდევ უფრო აძლიერებდა ეროვნულ ცნობიერებას და სეპარატიზმს. ამასთან ერთად,იგი მიუღებლად მიიჩნევდა კავკასიის ხალხების ასიმილაციის პოლიტიკას, რადგან იგი ძლიერ უკუქმედებას იწვევდა:** რუსული ენის ძალდატანებითი დამკვიდრება არა მარტო მოწაფეებში, არამედ მათ მშობლებშიც კი უკმაყოფილებას ბადებდა, რადგან ისინი მიიჩნევდნენ, რომ მშობლიური ენის დევნა ეროვნების შეურაცხყოფას ნიშნავდა.

რუსულ და მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხის მნიშვნელობას რომ არკვევდა, ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ კავკასიის სამეფისნაცვლოში 1844-1882 წლებში მშობლიურ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით სწორი პოლიტიკა ტარდებოდა. მეფისნაცვლობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, პოლიტიკა შეიცვალა და დაიწყო ბრძოლა მშობლიური ენის სწავლების წინააღმდეგ, რამაც საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო: თუ წინათ ადგილობრივი მოსახლეობა მშობლიური ენის შესწავლას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ამიერიდან მისი ცოდნა ეროვნული ღირსების საქმედ იქცა. თუ ადრე მშობლიური ენის არცოდნა დამამცირებლად არ ითვლებოდა, ამიერიდან მისი არცოდნა მშობელი ხალხისაგან განდგომად აღიქმებოდა. მამა, რომელმაც მშობლიური ენა არ იცოდა, ცდილობდა შვილებისათვის მაინც როგორმე ესწავლებინა იგი. კავკასიის მეფისნაცვალი ერთ დამახასიათებელ მოვლენაზეც ამახვილებდა ყურადღებას: წინათ „ძე"-ზე და „შვილ"-ზე დამთავრებული ქართული გვარები „ოვ" დაბოლოებით იწერებოდა, ხოლო ქართული ენის სწავლების შეზღუდვითა და აკრძალვით გაღიზიანებულმა ქართველებმა „ოვ"-ზე დაბოლოებული გვარები ისევ „ძე" და „შვილი" დაბოლოებებით შეცვალეს. მშობლიური ენის სწავლებას არამარტო დაბალ კლასებში, არამედ ზედა საფეხურზეც ითხოვდნენ. მათი სურვილი იყო ასევე მშობლიურ ენაზე ლიტერატურული და ისტორიული წიგნების გამოცემა. ყოველივე ამას კავკასიის მეფისნაცვალი რუსული საგანმანათლებლო სისტემის მარცხად მიიჩნევდა. სახალხო განათლების ნაკლად თვლიდა ვორონცოვ-დაშკოვი იმასაც, რომ *1905 წელს კავკასიის სხვადასხვა დონის საერო სასწავლებლების 438 კურსდამთავრებულის ეროვნული კუთვნილება ასეთ სურათს იძლეოდა:* ***რუსი — 235, ქართველი — 79, თათარი (აზერბაიჯანელი) — 43, სომეხი — 28, სხვადასხვა ეროვნებისა — 56.*** *ამრიგად, 438 კურსდამთავრებულიდან კავკასიაში მცხოვრები 3 მთავარი ერის (ქართველების, აზერბაიჯანელების, სომხების) წარმომადგენლები მხოლოდ 25%-ს შეადგენდნენ.*

ნათლად იკვეთება ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მისწრაფება: იგი მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებას იმიტომ უჭერდა მხარს, რომ კავკასიის სხვადასხვა ხალხის ეროვნული ღირსების შელახვა ამ ხალხებში ანტირუსულ განწყობილებას და სეპარატიზმისაკენ მისწრაფებას ბადებდა, რაც ხელს უშლიდა რუსული მოქალაქეობის დამკვიდრებას კავკასიის ხალხებში. რუსული მოქალაქეობის დამკვიდრების გარეშე ვერც ასიმილაციის პროცესი განვითარდებოდა და ვერც კავკასია გადაიქცეოდა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად.

3. ადგილობრივი მმართველობის გარდაქმნის აუცილებლობა. XX საუკუნის დამდეგისათვის კავკასიის გუბერნიებში მმართველობის 2 ფორმა არსებობდა: **სამოქალაქო და სამხედრო-სახალხო.** ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს სწერდა: სამხედრო-სახალხო მმართველობა იმ დროს ჩამოყალიბდა, როდესაც რუსეთის ჯარები კავკასიაში ადგილობრივ მთიელებს ებრძოდნენ. სამხედრო-სახალხო მმართველობა გულისხმობდა: 1. ადმინისტრაციული ძალაუფლების თავმოყრას ცალკეული რუსი ოფიცრის ხელში, რომელთა სათავეში კავკასიის უმაღლესი მთავარსარდალი იდგა; 2. მოსახლეობისათვის იმის უფლების მიცემას, რომ შინაური საქმეები არა რუსული კანონების, არამედ წეს-ჩვეულებებისა და ადათების მიხედვით განეგოთ. მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ მმართველობის ეს ფორმა იმხანად გამართლებული იყო, მაგრამ XX საუკუნის დამდეგისათვის მისი არსებობა მიუღებელი გახდა. ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს სწერდა, რომ სამხედრო-სახალხო მმართველობის გაუქმების საკითხი ჯერ კიდევ 1883 წელს დააყენა კავკასიის მთავარმართებელმა ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვმა. სამხედრო-სახალხო მმართველობის გაუქმების წინააღმდეგი გამოვიდა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საბჭომ საჭიროდ მიიჩნია სამხედრო-სახალხო მმართველობის რეფორმის შემუშავება. კანონში, რომელიც 1885 წლისათვის უნდა მიეღოთ, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო: *1. სამხედრო-სახალხო მმართველობა უნდა გაუქმებულიყო. უნდა გაუქმებულიყო თბილისში არსებული ცენტრალური სამხედრო-სახალხო მმართველობაც; 2. იმ ოლქებისა და ოკრუგების მართვა-გამგეობა, სადაც წინათ სამხედრო-სახალხო მმართველობა არსებობდა, კავკასიის მთავარმართებელს უნდა დამორჩილებოდა, ხოლო უშუალო მმართველობა უნდა განეხორციელებინა კავკასიის მთავარმმართებლის სამხედრო-სახალხო კანცელარიას დირექტორით სათავეში.* კანონის პროექტს სხვადასხვა უწყებაში წინააღმდეგობები შეხვდა, რის გამოც კავკასიის მთავარმართებელმა ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვმა კანონის პროექტი უკან გამოითხოვა. მასზე მუშაობა გაგრძელდა, თუმცა რაიმე კონკრეტული შედეგი ამას არ მოჰყოლია. პოლიტიკოსებისა და სამხედროების უმრავლესობა სამხედრო-სახალხო მმართველობის შენარჩუნებას უჭერდა მხარს.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა სამხედრო-სახალხო მმართველობის გაუქმების საკითხი 1907 წლის 10 თებერვლის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ხელახლა დააყენა. მეფისნაცვლის აზრით: *1. სოხუმის ოკრუგში სამხედრო-სახალხო მმართველობა უნდა გაუქმებულიყო და ოკრუგის ტერიტორია შავი ზღვის გუბერნიას შეეერთებოდა; 2.ზაქათალის ოკრუგშიც სამხედრო-სახალხო მმართველობა უნდა გაუქმებულიყო და იგი თბილისის გუბერნიას მიერთებოდა. მეფისნაცვალი აღნიშნავდა, რომ უკეთესი იქნებოდა ზაქათალის ოკრუგი დაღესტნის ოლქისათვის მიეკუთვნებინათ.*

4. სასამართლო სისტემის რეფორმა. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ კავკასიაში სამხედრო-სახალხო მმართველობის პირობებში დაშვებული იქნა **სახალხო სასამართლოს** არსებობა. მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ სახალხო სასამართლოს არსებობა სამხედრო-სახალხო მმართველობის პირობებში გამართლებული იყო, რადგან იქ სასამართლო წარმოება ხალხის წეს-ჩვეულებებსა და ადათებს ემყარებოდა. მომდევნო ხანებში სახალხო სასამართლოების მუშაობაში უხეშად ერეოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რაც ბოლო ხანებში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში გადაიზარდა: ხალხის წეს-ჩვეულებებსა და ადათებს ადმინისტრაციული მოხელის ნება უპირისპირდებოდა. სასამართლოს მხოლოდ სახელიღა შერჩა „სახალხო", რადგან იქ ყველა მნიშვნელოვან საკითხს ადმინისტრაციული მოხელე წყვეტდა. კავკასიის მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ 1907 წლისათვის სახალხო სასამართლოები ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათთვის არანაირი მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმის მინდობა არ შეიძლებოდა. კერძოდ, ვორონცოვ-დაშკოვი გულისხმობდა მიწაზე საკუთრების უფლების გარკვევას. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, კავკასიის მეფისნაცვალი აუცილებლად მიიჩნევდა სახალხო სასამართლოს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, გაუქმებას და მისი ფუნქციების მომრიგებელი მოსამართლისათვის გადაცემას.

კავკასიის მეფისნაცვალი იმპერატორის წინაშე სოფლის სასამართლოების რეფორმის საკითხსაც აყენებდა და საჭიროდ მიიჩნევდა ამ უკანასკნელთა უფლებამოსილების გაზრდას. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა მოსახლეობის უკმაყოფილება მომრიგებელი სასამართლოების მიმართ. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად მეფისნაცვალი მომრიგებელ სასამართლოში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების შეყვანას თვლიდა.

5. სასოფლო მართველობის რეფორმა. კავკასიის მეფისნაცვალმა სასოფლომართველობისრეფორმის საკითხიც დააყენა. მისი აზრით, სასოფლო მმართველობაში თანამდებობის პირებს მოსახლეობა ირჩევდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ეს არჩევნები პოლიციის ხელში იმ იარაღად იქცა, რომელმაც ჩანასახის პროცესში მყოფი სოფლის საზოგადოებრივი და სამეურნეო დამოუკიდებლობის პარალიზება მოახდინა. ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავს, რომ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო მუსლიმებით დასახლებულ პროვინციებში. იქაურ სოფლებში არც სოფლის მწერლის თანამდებობა არსებობდა და არც — საქმის მწარმოებლისა, სასოფლო მართველობას შენობაც კი არ ჰქონდა, სადაც შეიძლებოდა კრების ჩატარება და სოფლის საჭირბოროტო საკითხების განხილვა. სასოფლო მართველობის სერიოზულნაკლად კავკასიის მეფისნაცვალი იმას მიიჩნევდა, რომ სოფლის ადმინისტრაციის არჩეული მოხელეები (მამასახლისი, მწერალი და სხვ.) ხალხის ნდობას ხშირად პირადი ინტერესებისათვის იყენებდნენ, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო: სოფლის საქმეები მოუგვარებელია, დამკვიდრებულია ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რაც ძირითადად ფულადი და ნატურალური გადასახადების არასწორად გაწერაში გამოიხატება. სოფლის ადმინისტრაცია სხვადასხვა მიზეზის მოშველიებით შეძლებულ ადამიანებს საშუალებას აძლევს თავი აარიდონ ფულადი და ნატურალური გადასახადის გადახდას. ამ უსამართლობის თაობაზე მოსახლეობა პოლიციაში ჩივის, მაგრამ საჩივრები თითქმის რეაგირების გარეშე რჩება. პოლიცია მომჩივანი გლეხების წინააღმდეგ აქტიურად იყენებს თავის აგენტებს, ძირითადად, ქურდებს, ყაჩაღებს და სხვა საეჭვო პირებს. ვორონცოვ-დაშკოვი სენატის მიერ ჩატარებული ოფიციალური რევიზიის დასკვნებს ეყრდნობოდა, როცა აღნიშნავდა, რომ სასოფლო მმართველობის არჩევნები პოლიციი-სათვის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

ვახტანგ გურული
საქართველოს ახალი ისტორია
(წიგნი 3. გვ. 584-589)

გაგრძელება იქნება

„კუკარაჩას“ პრემიერა ოზურგეთის თეატრის სცენაზე

ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში 157-ე თეატრალური სეზონი, სპექტაკლ „კუკარაჩას“ პრემიერით გაიხსნა.

სპექტაკლი „კუკარაჩა“ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვითაა შექმნილი, სადაც შეტანილია ფრაგმენტები რომანიდან „მარადისობის კანონი.“

რეჟისორი და სცენური ვერსიის ავტორი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ვასილ ჩიგოგიძეა.**

მხატვარია –ლომგულ მურუსიძე; ინსცენირება–ნინია სადღობელაშვილი; კოსტუმების მხატვარი-ქეთი ციციშვილი; მუსიკალური გაფორმება – კოტე მალანია; სასცენო მოძრაობა – გია მარღანია, მარიკა ქვეითაია; რეჟისორის ასისტენტი – გიორგი ჩავლეშვილი.

მაღალზნეობრივი იდეალებითა და ჰუმანიზმით სავსე ნოდარ დუმბაძის უკვდავი პერსონაჟები, სპექტაკლი, რომელიც პიროვნული არსის, ბედისწერის, სიკვდილისა და სიცოცხლის რაობის შესახებ მოგვითხრობს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი ვასო ჩიგოგიძე, ნოდარ დუმბაძის უკვდავ ნაწარმოებს „კუკარაჩა“ ახალი, შთამბეჭდავი ვიზუალური სტილითა და თანამედროვე ინტერპრეტაციით წარმოადგენს.

სპექტაკლი ემოციურად განაწყობს ყველა თაობის მაყურებელს.

უფროსი თაობისთვის ეს არის ძველი, მაგრამ შეუცვლელი ღირებულებების ხელახალი განცდის შესაძლებლობა, ახალგაზრდებისთვის კი საშუალება, დაინახონ, თუ როგორ წარმოაჩენს დუმბაძის ნაწარმოები უნივერსალურ თემებს, რომლებიც დროის სვლადობის მიუხედავად ყოველთვის აქტუალურია.

სპექტაკლში მთავარ როლებს (კუკარაჩა, ინგა) გიორგი დოლიძე და თამარ ჭანუყვაძე ასრულებენ.

სხვა როლებში: მურტალო –ლევან საღინაძე; ანიკო – თამარ მდინარაძე; მარგო –ბელა კიკვაძე; დავითი –ზაზა ჯინჭარაძე; გაბო –ირაკლი ვადაჭკორია; ანჟელა –შორენა გვეტაძე; მოსე –გიორგი ჩავლეშვილი; რებეკა – თეა კეჭაყმაძე; მართა – მარიკა ასათიანი; ალი – გენადი ნიკოლაშვილი; მოსამართლე – დავით კვერღელიძე.

უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლში მონაწილეობენ სტუდიელები: თამაზი – მამუკა ღლონტი; ვიოლინო –ლილე ღლონტი; ისხააკი –გიორგი მჟავია; იბრაჰიმ–ლუკა ჯულაყიძე; ჭორიკნები –მარი ხანთაძე, ქრისტინე დოლიძე; გიორგი მარგველანი, ვახო ტიკარაძე, ნინი მეგრელაძე, ნიაკო კიკვაძე.

სპექტაკლის შემდეგ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურისა და სპორტის ყოფილ მინისტრს თეა წულუკიანს და სხვა სტუმრებს.

საქართველოს ღია პირველობა ბაზიერობაში

ალიონი. ახლახან დაბა ჩოხატაურში ჩატარდა საქართველოს ღია პირველობა ბაზიერობაში, რომელშიც ჩოხატაურის, ფოთის, აჭარის ცნობილი ბაზიერები მონაწილეობდნენ.

გარდამარჯვებულთა შორის უმეტესად ჩოხატაურელი ბაზიერები იყვნენ და მათვე გადაეცათ დიდი ქართველი ბაზიერის აკაკი ჩხიკვიშვილის სახელობის გარდამავალი თასი „ჩოხატაური.“

დაჯილდოებულთა შორის იყვნენ გუთურელი ვაჩეიშვილების ოჯახის 3 წევრი: ბაბუა გოგი, შვილი ანზორი და შვილიშვილი გიორგი ვაჩეიშვილები.

ოზურგეთელ ბაზიერებს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული წარმატებები ჰქონდათ რესპუბლიკურ პირველობებზე. ცნობილი ბაზიერები იყვნენ: იორდანე და გიგა ლომთათიძეები, რობერტი ჟღერია, ფაკო მახარაძე, ძმები სულიკო და ჟორა თავართქილაძეები, რევაზ და ავთანდილ ურუშაძეები, მიხეილ. გიორგაძე, ბიჭიკო მეფარიშვილი და სხვები. ბაზიერებს ოზურგეთში ფეხბურთელების მსგავსად პატივს სცემდნენ და შემოსავლიან მაღალანაზღაურებად სამსახურებში ასაქმებდნენ. რამდენიმე ახალ ტაქსებზე მძღოლად იყვნენ დასაქმებული.მათი ხსოვნის პატივსაცემად, სოფელ მაკვანეთში (გორმაღალა) მოწყობილია ბაზიერების მემორიალი და ყოველწლიურად, 19 აგვისტოს აქ იკრიბებიან გარდაცვლილი ბაზიერების ახლობლები.

როგორც გურიის სამონადირეო ტურიზმისა და ბაზიერთა კლუბის ხელმძღვანელი **ერმოგენ კომახიძე** ამბობს, ოზურგეთს ამჟამად ჰყავს ორი ცნობილი ყოფილი ბაზიერები: საქართველოს არაერთგზის გამარჯვებული კლარა თავართქილაძე და ზაურ მეფარიშვილი.

ერმოგენ კომახიძის თქმით, საწყენია, რომ ოზურგეთელებმა ბაზიერობაში პოზიციები დათმეს და ათეული წლებია ტურნირებში არ მონაწილეობენ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი სპორტის ამ ტრადიციულ სახეობას აფინანსებს და მნიშვნელოვან ტურნირებსაც აწყობს.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ბაზიერობის განვითარების კუთხით ოზურგეთი დუმს.

გურიის რიგით მე-11 ჩემპიონი ლანჩხუთელი მოსწავლე მიხეილ აფხაზავაა

ლანჩხუთელი **მიხეილ აფხაზავა** მე-12 კლასის მოსწავლეა, მას სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში მრავალჯერ აქვს მოგებული მოსწავლეთა შორის,როგორც მუნიციპალური და რეგიონალური პირველობები, ისე არაერთხელ ყოფილა რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი..მამაკაცთა შორის გურიის პირველობაზე შარშანწინ III-IV ადგილები გაიყო, შარშან ვიცე -ჩემპიონი გახდა, წელს კი აღმავლობის გზა ლოგიკური შედეგით დაასრულა და გურიის რიგით მე- 11 ჩემპიონად მოგვევლინა. (მანამდე ჩემპიონობას ფლობდნენ: *ამირან ბერძენიშვილი,ნუგზარ გვარჯალაძე, რუსუდან ჭკუასელი, ქრისტინა მჟავია, თორნიკე ხვედელიძე, მინდია ჩხიკვიშვილი, ტარიელ ხუხუნაიშვილი,დავით ცეცხლაძე, გივი ქორიძე და გიორგი გოგოლაური;* მათგან ხუთი ლანჩხუთელია, 4 ოზურგეთელი და 2 ჩოხატაურელი). მიშიკოს რეიტინგი დღეს 1855-ია, რითაც უკვე გადააჭარბა მისი მწვრთნელის და აქტიური მოჭადრაკის, ტარიელ ხუხუნაიშვილის მაჩვენებელს.

მიშიკო უკვე აბიტურიენტია და სერიოზულად ემზადება სტუდენტობისათვის, რაშიც წარმატებას ვუსურვებთ, ამასთან იმედს გამოვთქვამთ ეს ნიჭიერი მოჭადრაკე, მომავალშიც აქტიურად და წარმატებით გააგრძელებს სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობას.

უძლიერეს მოჭადრაკეებთან მოპოვებული III ადგილი

გურიის რეგიონალურ ჩემპიონატში ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია 13 წლის ოზურგეთელმა **ნიკოლოზ ბარამიძემ** (მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე). მას ტიტულები არ აკლია, მაგრამ რეგიონის უძლერეს მოჭადრაკეებთან პაექრობაში მოპოვებული მესამე ადგილი ნამდვილად განსაკუთრებული შეფასების შედეგია. ვულოცავთ ნიკოლოზ ბარამიძეს და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ!

ოზურგეთელი მედალოსნები გურიის ჩემპიონატიდან

ქ. ლანჩხუთში გურიის 21-ე რეგიონული ჩემპიონატი გაიმართა.

ასაკობრივ კატეგორიებში, 14 ნომინაციიდან 5 მედალი ოზურგეთლებმა მოიპოვეს, რომლებიც მწვრთნელ ნინო წიტაიშვილის აღსაზრდელები არიან. ესენია: **ანდრია ადეიშვილი** (I-ადგილი- 8 წლ.), მარიამ მახარაძე (II ადგ,12 წ.), **აკაკი სალუქვაძე** (II ადგ. 14წლ), **ბაქარ მახარაძე** (II ადგ,10 წ.) და **გიორგი სალუქვაძე** (III -ადგ.10 წლ). საუკეთესო პარტიისათვის პრიზი ერგო ასევე ვაჟთა შეჯიბრებაში მონაწილე **ლიზი ვასაძეს.**

წვიმა +5+9
4 ნოემბერი
ორშაბათი

წვიმა +4+9
5 ნოემბერი
სამშაბათი

წვიმა 0+6
6 ნოემბერი
ოთხშაბათი

წვიმა +4+7
7 ნოემბერი
ხუთშაბათი

წვიმა 0+6
8 ნოემბერი
პარასკევი

წვიმა 0+5
9 ნოემბერი
შაბათი

მზე, ღრუბელი +6+13
10 ნოემბერი
კვირა